საერთაშორისო გაფიცვა ტრანს★ფემინისტური ციფრული გამოფიტვისთვის

*2023 წლის გაზაფხულზე მინადორასერვერი შეუერთდა **საერთაშორისო გაფიცვას ტრანს★ფემინისტური ციფრული გამოფიტვისთვის**. გაფიცვის მიზანია დიდი ტექისგან დისტანცირება, თანამედროვე ქლაუდზე დაფუძნებული ტექნოლოგიების ფემინისტური პერსპექტივიდან გადააზრება შორეულ პერქსპექტივაში ამ საკითხების საფუძვლიანი კვლევა, და რაც მთავარია განსხვავებული რეალობისკენ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. 8 მარტს 20-მდე ფემინისტური კოლექტივი და ორგანიზაცია გაერთიანდა ქლაუდ-საწინააღმდეგო მოქმედების დღისთვის და ეს გაერთიანება სხვადასხვა ფორმატში ჩატარებული ღონისძიებებით აღინიშნა. ეს არის ერთობლივი გრძელვადიანი ძალისხმევის ნაწილი.*

მინადორასერვერში კოლექტიურად ვთარგმნეთ ქლაუდ-საწინააღმდეგო მოქმედების დღისთვსის გამოცემული ტექსტი, რომელსაც ამ ზინის ფორმატში გიზიარებთ.

- /

ქლაუდ-საწინააღმდეგო მოქმედების დღე

ოთხშაბათი 8 მარტი 2023

ამ დღეს ჩვენ ვეცდებით ვდისტანცირდეთ დიდი ტექის ქლაუდზე [იგივე Big Tech Cloud] დაფუძნებული სერვისების გამოყენების, მასზე ზრუნვისა და მისი გამოკვებისგან. ამ გაფიცვით მოგიწოდებთ ექსტრაქციული ციფრული სერვისების ჰიპერ შემცირებისა და კოლექტიური ორგანიზების ზრდისკენ. ჩვენ ვუერთდებით საერთაშორისო ფემინისტური გაფიცვების ხანგრძლივ ისტორიას, რადგან გვჯერა, რომ ეს ბრძოლა არის სამართლიანი შრომის, ზრუნვის, ანტი-რასიზმის, ქვიარ უფლებებისა და ტრანს*ფემინისტური ტექნო-პოლიტიკისთვის.

დღევანდელი ცხოვრების ძალიან ბევრი ასპექტი დამოკიდებულია ქლაუდზე. დიდი ტექის ექსპანსიონისტური, ექსტრაქტივისტური და კაპიტალისტური მეთოდები ყველა ცოცხალ და კრეატიულ პროცესს ფინანსურ მოგებად გარდაქმნის. ეს დიდწილად განსაზღვრავს თუ როგორ ვორგანიზდებით და ,ასევე, ჩვენს დამოკიდებულებას რესურსების მიმართ. უამრავი საჯარო დაწესებულება, როგორიცაა საავადმყოფო, უნივერსიტეტი, არქივი და სკოლა, ძირეული საქმიანობების განხორციელებისას დამოკიდებულია დაქირავებულ პროგრამა-როგორც-სერვისზე [software-as-a-service // saas]. დიდი ტექის ინტერესები განსაზღვრავს იმას თუ როგორ ვასწავლით და ვსწავლობთ, ასევე, როგორ ვუდგებით ხელმისაწვდომობას, ცოდნას, ორგანიზებას, მუშაობას, სიყვარულს, ძილს, კომუნიკაციას, ადმინისტრირებას, ზრუნვასა და მეხსიერებას.

განსაკუთრებით დღეს, მძლავრად/ინტენსიურად ვართ მიჯაჭვული დიდი ტექის cloud-ზე, დროა გავძლიერდეთ და ერთად გამოვერკვიოთ ახალ შესაძლებლობებში. ჩვენ გვსურს წარმოვიდგინოთ განსხვავებული ინფრასტრუქტურა კოლექტიური ცხოვრებისთვის როგორც კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან ერთად, ასევე მათ გარეშე. ქლაუდის წინააღმდეგობის მოწოდებით, ჩვენ გვსურს ყურადღება მივაპყროთ ტრანს*ფემინისტური, ანტი რასისტული და ანტი იმპერიალისტური სერვერების პრაქტიკებისკენ. ჩვენ გვინდა ლოკალური ციფრული მეხსიერება, თვით-ორგანიზებული ვიდეო შეხვედრის პროგრამები, კოლექტიურად მოვლილი სერვერები. გვინდა ანტიფაშისტური ინფრასტრუქტურები, დაბალი ენერგიის გრაფიკა და ქვიარ წრედები. ჩვენ გვინდა ხელმისავწდომი განვითარება, მდგრადი ტექ-ზრუნვა, და ველური მომარაგების ქსელები. ჩვენ გვინდა დასრულდეს დიდი ტექის მიერ ნაკარნახევი შრომის პირობები, და საბოლოოდ - შრომაც. ჩვენ გვინდა, სისტემატიური, ხალისიანი, ტექნო-პოლიტიკური ცვლილებები.

ჩვენ ვერთიანდებით სხვადასხვა სივრცეებიდან: თვით-ორგანიზებული პროექტებიდან, საჯარო ორგანიზაციებიდან, კულტურული დაწესებულბებიდან, ბიზნეს სფეროებიდან და სხვა კოლექტივებიდან. 8 მარტს, ჩვენს ორგანიზაციებს შევახსენებთ მოაწყონ ციფრული ინფრასტრუქტურები ჩვენს ინტერესბთან შესაბამისობაში. ყველანი ერთად ვიფიქრებთ, ავსახავთ, ვთარგმნით და შემოგთავაზებთ ქლაუდის საწინააღმდეგო მოქმედების ლოკალურ მაგალითებს. ჩვენ ვგეგმავთ ზეიმს დიდი ტექის ნანგრევზე, მისგან განდგომის თანადროულად. ამ დღეს ჩვენ გამოვცდით ქლაუდზე დაფუძნებული აპლიკაციებისა და პროგრამების გამოყენების შემცირებას, განვიხილავთ ქლაუდ-პრინციპების გამომფიტველ გავლენებს სათემო რესურსებზე და შევადგენთ ამ პროცესების დოკუმენტაციას. "მოვიოცნებებთ" გადარჩენის ხალისიან, ალტერნატიულ, მეთოდებს. ასევე ვეცდებით წარმოივდგინოთ თუ როგორი შეიძლება იყოს ადგილობრივი ქსელები ტრანსნაციონალური კომუნიკაციებისა და სოლიდარობისთვის.

გაფიცვაში ჩაბმულები არიან:

Anarchaserver (კალაფუ), Bidston Observatory Artistic Research Centre (ლივერპული), Ren Loren Britton (ბერლინი), Constant (ბრიუსელი), Critical Data Studies Program (არჰუსის უნივერსიტეტი), Dept. of Autonomous Design, KASK (გენტი), esc mkl (გრაცი), Hangar (ბარსელონა), In-grid (ლონდონი), The Institute for Technology in The Public Interest (ბაზელი, ბრიუსელი, ლონდონი), NEoN (დანდი), time of tribes (ედინბურგი), Varia (როტერდამი), A Video Store After the End of the World (კოპენჰაგენი), Systerserver, servus.at (ლინცი), Hackers and Designers (ამსტერდამი), la_bekka - espacio hackfeminista (კანარის კუნძულები და არგენტინა), Red Autodefensa Feminista Online (ესპანეთი), donestech y Alia (Associació de Dones per la Recerca i Acció) (ესპანეთი), Minadoraserver (თბილისი), Heart of Code (ბერლინი), APO-33 Nantes, data.coop (დანია), Institute of Diagram Studies, Pingping Press (როტერდამი), ooooo.be (Brussels) ...

-- თუ გსურთ შემოუერთდეთ გაფიცვას ინდივიდუალურად, კოლექტიურად ან ინსტიტუციურად, გაწევრიენდეთ სამისამართო სიაში:

https://boucan.domainepublic.net/mailman3/postorius/lists/8m.lists.constantvzw.org/

-- ღონისძიებების ჩამონათვალი სხვადასხვა ადგილებში:

https://etherdump.vvvvvvaria.org/publish/8m-activities.raw.html

-- სიახლეები:

https://systerserver.town/@digitaldepletion

ხშირად დასმული კითხვები ✨

რა არის ქლაუდი?

ქლაუდი კომპუტაციური ძალის ტერმინია, რომელიც ცენტრალიზებულად იმართება, მოქნილობისა და ოპიტიმიზაციის პირობით. ქლაუდი აერთიანებს ძალიან დიდი რაოდენობის კომპიუტერებს და შემდეგ მომხმარებლებს სთვაზობს პატარა და დიდ კომპუტაციურ ძალას - როგორც სერვისს. ქლაუდს, რომელსაც გვინდა წინააღმდეგობა გავუწიოთ დიდი ტექ კომპანიები მართავენ - მაგალითად, გუგლი,ამაზონი და მაიკროსოფტი. ისინი საკუთარ სერვისებს სხვა კომპანიებს და ორგანიზაციებს აქირავებენ.

დიდი ტექის ქლაუდი არ არის უბრალოდ სხვა ადამიანების კომპიუტერები. ეს აერთიანებს პროგრამული უზრუნველყოფის პარადიგმას, რომელიც ეყრდნობა მუდმივად განახლებად პროგრამა-როგორც-სერვისს [software-as-a-service], მზარდი გამოთვლითი ინფრასტრუქტურით, უამრავი სმარტფონითა, და საჯარო ვაჭრობის დიდი ტექ კომპანიების პოლიტიკურ ეკონომიკას. დიდი ტექ ქლაუდის მოგება დამოკიდებულია ენერგიისა და მინერალების გადაჭარბებულ ექსტრაქციასა და რასობრივად დისკრიმინაციულ, ექსპლუატაციურ შრომაზე.

რატოა ქლაუდი პრობლემური?

ქლაუდ კომპანიებს (Amazon, Alphabet, Meta, Microsoft), როგორც წესი ფლობენ აქციონერები, ვისაც მუდმივად სჭირდება კომპანიის ზრდის დემონსტრირება. ეს იმას ნიშნავს, რომ წლიდან წლამდე უნდა იზრდებოდეს კომპანიების ეფექტურობა, რომელიც უზრუნველყოფს მეწილეებისთვის მზარდი ფინანსური მოგების მიღებას. ქლაუდის მუშაობის პრინციპების მიხედვით, ციფრული პროცესების დანერგვისას აუცილებელია მათთვის მეტი ფუნქციის მინიჭება და სხვა სფეროებზე გავრცელება, რაც ზრდის მოთხოვნას კომპუტაციისა და მეტი ქლაუდ სერვისის მოხმარებაზე.

ქლაუდ სერვისები გამიზნულია მასშტაბის ზრდისთვის. რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ყოველთვის მეტს ველით მათგან, ხელმისაწვდომობის, სიჩქარისა და სანდოობის თვალსაზრისით. რაც უფრო ფართოვდება ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, მით უფრო ნაკლებ რაღაცაზე შეგვიძლია ვიზრუნოთ ჩვენით, როგორც თემმა, საზოგადოებამ ან ინდივიდებმა (მაგალითად, ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ მეილ სერვერის ამუშავებას ქლაუდ სერვისების გარეშე, უამრავ პრობლემას აწყდებიან მოსალოდნელი სიჩქარის, კომპლექსურობისა და სხვა მიზეზის გამო). თითქმის შეუძლებელი ხდება განვავითაროთ, დავნერგოთ ან თუნდაც შევარჩიოთ ციფრული ტექნოლოგიები და მათი მართვისა და შენარჩუნების გზები.

https://diagram.institute/8m/ https://apo33.org/8m https://core.servus.at/8m/ https://34.sk/8m/ https://multiplace
https://donestech.net/8m https://minadoraserver.art/8m/ https://data.coop/8m/ https://autodefensa.online/8m https://labekka.red/8m/ https://drop.hackersanddesigners.nl/8m https://kapital-noviny.sk/8m/ https://pingping.press/8m/ https://esc.mur.at/8m/ https://www.ooooo.be/8m/

საერთაშორისო გაფიცვა ტრანს★ფემინისტური ციფრული გამოფიტვისთვის

ადამიანები, საჯარო დაწესებულებები და სხვადასხვა კოლექტივები მათი ძირეული საქმიანობების განსახორციელებლად დამოკიდებულნი არიან ამ სერვისებზე. დიდ ტექის მოქნილობის ლოგიკამ მოიცვა და გარდაქმნა ჯანდაცვის, განათლებისა და აქტივიზმის სფეროები, მაშინ როცა ადგილობრივი აიტი დეპარტამენტები ერთმანეთის მიყოლებით იხურება, და შედეგად, ხდება ჩვენი უნარების, სურვილებისა და რესურსების მათ მიერ ექპლუატაცია. შემოქმედებითი და არატრადიციული პრაქტიკები დროთა განმავლობაში ქრება და წარმოუდგენელი ხდება მათი კვლავ განვითარება. ეს არის ჩაკეტილი წრე: რაც უფრო ნაკლებად შეგვიძლია ვიზრუნოთ იმ ხელსაწყოებზე, რომელსაც ყოველდღიურად ვიყენებთ, მით უფრო დამოკიდებული ვხდებით კომპანიებზე, წვრილმანი პრობლემების გადაჭრაშიც კი. და ტექნოლოგიები, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა შესაძლებლობის ადამიანებისთვის [ხელმისაწვდომობისა თუ ორგანზებისთვის], არ ვითარდება მათი საჭიროებების გათვალისწინებით.

ეფექტურობის მცდარი პარადიგმა უსარგებლოს გვხდის და ანადგურებს ჩვენს სიმტკიცეს. ასეთ მოცემულობაში, "იუზერს" არ სჭირდება თავის პროდუქტიულობაზე ფიქრი, ეს ისედაც უზრუნველყოფილია. ასევე, სხვადასხვა სუბიექტების ან გაერთიანებების/კომუნების "იუზერებამდე" დაყვანა გვაშორებს ფიქრის უნარისგან ან კიდევ უფრო კომპლექსური ადამიანური მდგომარეობებისგან.

მთავრობები სულ უფრო მეტად ეყრდნობიან დიდ ტექ ქლაუდს და ხშირად თანამშრომლობენ დიდ ტექ კომპანიებთან, რათა მათ უზრუნველყონ აუცილებელი მატერიალური ინფრასტრუქტურა, როგორიცაა ელექტრო ქსელები, წყალმომარაგება, გზები, მიწა, კაბელები და ა.შ. დიდმა ტექმა გამოფიტა საჯარო ინფრასტრუქტურები და რესურსები, თუმცა ამის მიუხედავად აგრძელებს გადასახადებისგან თავის არიდებას.

სერვერ-ფერმების მართვისთვის საჭიროა უდიდესი ენერგო და მატერიალური რესურსები: ტოქსიკური ქიმიკატები სუფთა წყლის გაგრილებისთვის, მინერალები ჩიპებისა და კომპონენტებისთვის, და ლითონი სერვერების სათავსოებისთვის წარმოებულია ექსპლუატაციური შრომის პირობებში. ასეთი ინფრასტრუქტურის საარსებოდ საჭირო ენერგიის რაოდენობა, იკვებება ექსტრაქციული გზით მოპოვებული წიაღისეულით. ექსტრაქციის პროცესი თავის მხვრივ მიყვება კოლონიალურ, რასისტულ შრომის პირობებს.

ქლაუდი ხომ ნულოვანი ნეტოსკენ მიისწრაფვის?

იმის მიუხედავად, რომ კომპუტცია დიდ რესურს მოითხოვს, ქლაუდი გვპირდება რომ ამას გარემოზე მინიმალური ზემოქმედებით განახორციელებს. ნულოვანი ნეტოს პირობა ორგანიზაციებისთვის მიმზიდველი არგუმენტია ქლაუდზე გადართვისთვის, მითუმეტეს ეხლა, როცა მათ დამფინანსებლებისგან მოეთხოვებათ აჩვენონ რომ ნახშირბადის გამოყოფას ამცირებენ. მაგრამ კლიმატური კატასტრიფის შესაძლებლობა, და გულისტკივილი და სასოწარკვეთილება რაც ჩვენი მოქმედების გარდაქმნისთვის არის საჭირო, ჩანაცვლებულია მსგავსი სუფთა ადმინისტრაციული სვლებით. დიდი ტექი გვთავაზობს რომ გლობალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ მასშტაბის გაზრდით არის შესაძლებელი, ტრანსნაციონალური სოლიდარობის გაძლიერების ნაცვლად.

ჩვენ გვინდა პასუხისმგებლიანი საჯარო ინსტიტუციები, რომლებიც აქტიურად იმუშავებენ საკუთარი თავის გარდაქმნაზე. და ასევე, ჩვენ გვჭირდება პასუხისმგებლიანი სოლიდარობის სტრუქტურები, რომლებიც მხარს დაუჭერენ ერთმანეთს პატარა, ლოკალური ცვლილებების განხორციელებაში რომლებსაც რეალური გაცლენის მოხდენის შესაძლებლობა აქვს გლობალური მასშტაბით. პრივატიზებულ დიდ ტექვს ვერ დავეყრდნობით ნახშირბადის ემისიის პრობლემის გადაჭრაში.

რატომ არის ამდენი [კულტურული] ორგანიზაცია ჩართული გაფიცვაში?

ინიციატორი ორგანიზაციების უმეტესობა უკვე რახანია ჩართულია ყოველდღიურ ტრანს*ფემინისტურ ტექნოსამეცნიერო კულტურულ პოლიტიკაში. მათ ადარდებთ დიდი ტექის მიერ კულტურული პრაქტიკის მოცვა და ამას გამოხატავდნენ საუბრებში, კოლაბორაციებსა და ურთუერთდაკავშირებულ ქსელებში

მაგრამ გაფიცვა მხოლოდ საჯარო ინსტიტუციებს არ ეყრდნობა. ეს ინსტიტუციებიც იცავენ სახელმწიფოებსა თუ ხალხთა მთავრობის სხვა ფართო სტრუქტურებს. შესაბამისად, ჩვენ მზად ვართ ვმობილიზდეთ ორივე მიმართულებით: გავძლიერდეთ ჩვენს ირგვლივ არსებული ინფრასტრუქტურის შექმნაში და უარვყოთ მეთოდები რომლებითაც ინსტიტუციები კვებავენ თანამედროვე, კოლონიალურ, კომერციულ და პატრიარქალურ რეჟიმს.

რატომ იმართება ციფრული გამოფიტვის გაფიცვა 8 მარტს?

ზრუნვისა და მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა არის საკითხი, რომელიც ისტორიაში შემოვიდა ფემინისტური, ზრუნვაზე დაფუძნებული გაფიცვებისგან, და ეს ასევე ძლიერად ეხება ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურებს.
ფემინიზმი ყოველთვის იყო და იქნება თავის მოცემულობაში ანტიკაპიტალისტური. ამ განცხადებასთან ჭიდილი და წინაღობა ხელს უწყობს იმ სამყაროს შექმნას რომელიც ავიწროებს განსხვავებულად არსებობის გზებს. სწორედ ამიტომ, ქლაუდის დაცემა უნდა იყოს თანამედროვე ტრანს*ფემინისტური ბრძოლის ფუნდამენტური ჰორიზონტი.

რას ნიშნავს "ტრანს*ფემინისტური"?

ეს გაფიცვა არის ტრანს*ფემინისტური რათა წინ წამოიწიოს მნიშვნელოვანი ინტერსექციური და ინტრასექციური ასპექტები. ეს ტერმინი ამძაფრებს ფემინიზმის კომპლექსურობას, შრომის, ზრუნვის, ანტირასიზმის, აბლიზმის, ეიჯიზმის, ქვიარ ცხორებისა და ტექნო პოლიტიკისთვის ბრძოლასთან სოლიდარობით. არა ანგლოსაქსურ კულტურებში, განსაკუთრებით ესპანური ენის კონტექსტში, ტერმინი "ტრანს*ფემინიზმი" გამოიყენება ინგლისური ტერმინის, "ქვიარის" ნაცვლად, რომელიც ხშირად არ ითარგმნება და შესაბამისად, არის ექსლკუზიური. რადგან გაფიცვას ვაწყობთ 8 მარტს, დღეს რომლესაც გასდევს ძლიერი ბინარულობისა და ესენციალიზმის ტრადიცია, კიდევ უფრო საჭიროდ ჩავთვალეთ რომ მკაფიოდ ხაზი გაგვესვა ბრძოლათა ზოგად ურთიერთგადაჯაჭვულობასა და განსაკუთრებით ტრანსგენდრულ ბრზოლაზე.

როგორ გავიგო რომ ქლაუდს ვიყენებ?

დღევანდელ რეალობაში, ონლაინ სივრცეში არსებული აქტივობების უმრავლესობა რაღაც ფორმით დამოკიდებულია დიდი ტექის ქლაუდზე.

რა არის დამოკიდებული ქლაუდის სერვისებზე?
- ყველაფერი, რასაც შენს სმარტფონზე აკეთებ ან როდესაც რეგისტრირდები ონლაინ სერვისებზე (როგორიცაა Zoom-ი, Spotify, Netflix-ი ან WhatsApp-ი)
- ნებისმიერი შეთანხმება რომელსაც შენ ან შენი ირგანიზაცია თანხმდებით რათა შეძლოთ თქვენი ფაილების დისტანციურად შენახვა და მათზე შემდგომი წვდომა (მაგალითად, სურათები ან დოკუმენტები Wetransfer-ზე, Dropbox-ზე, Google Drive-ზე)
- ციფრულად მართული მომარაგების პროცესები (მაგალითად ნივთების ყიდვა Amazon-ზე ან DHL-ით)
- ნებისმიერი შენი ქმედება ცლაუდის მიღმა მაგრამ ისეთ ადამიანთან კომუნიკაციით, რომლის მომსახურება დამოკიდებულია ქლაუდზე (მაგალითად, იყენებს Gmail-ს)

ციფრული სერვისები, რომელიც არ არის დამოკიდებული დიდი ტექის ქლაუდზე:
  - ინფორმაცია, რომელიც ინახება ან მუშავდება შიდა სერვერებზე, ცალკეულ კომპიუტერებზე, და მყარ დისკებზე ან USB ბარათებზე.
  - საკომუნიკაციო პროტოკოლები, როგორიც არის მეილის გაგზავნა/მიღება არ საჭიროებს ქლაუდს მაგრამ შეიძლება მაინც ხორციელდებოდეს მათი გავლით (მაგ. gmail-ი)
  - წვდომა ფაილთან ლოკალურ სერვერზე ბრაუზერის მეშვეობით

Nextcloud-ი და Big Blue Button-ი თავისუფალი პროფრამული აპლიკაციებია, რომლებიც საშუალებას გაძლევთ ეს პროგრამები მოაწყოთ თქვენს სერვერზე/კომპიუტერზე, რაც მათ დიდი ტექის ქლაუდისგან დამოუკიდებლობას ანიჭებს. თუმცა, იმ შემთხვევაშ, როდესაც ეს ხელსაწყოები სხვადასხვა პოლიტიკური ეკონომიკის და ეკოსისტემის ნაწილად იქცევიან, ისინი ისევ აგრძელებენ პროგრამა-როგორც-სერვისი პარადიგმას, და ხანდახან (არა ყოველთვის) იჰოსთება ამაზონის ან გუგლის ქალუდზე.

დამატებითი რესურსები »»

https://minadoraserver.art/8m/

«« ეს მრავალწახნაგიანი ვებ გვერდი ცხოვრობს და
ასინქრონულად მოვლილია გაფიცვაში
ჩართული ქსელთა ქსელებით

\ -

კოლექტიური თარგმანი // ნონა / მაკო / თეკლა / ანანო / იზნ

4 & 5 მარტი –- 2023

მინადორასერვერი

აპრილი 2023

_____ \\ ზინი « 02

გამოიცა 'ქალთა ფონდი საქართველოში' ფინანსური მხარდაჭერით

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

https://multiplacediagram.institute/8m/ https://apo33.org/8m https://core.servus.at/8m/ https://34.sk/8m/ https://data.coop/8m/ https://donestech.net/8m https://autodefensa.online/8m https://labekka.red/8m/ https://drop.hackersanddesigners.nl/8m https://minadoraserver.art/8m/ https://pingping.press/8m/ https://esc.mur.at/8m/ https://www.ooooo.be/8m/ https://kapital-noviny.sk/8m/ https://drop.hackersanddesigners.nl/8m https://labekka.red/8m/ https://autodefensa.online/8m https://donestech.net/8m https://data.coop/8m/ https://